აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის 2024 წლის საქმიანობის გეგმა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის (შემდეგში - კომიტეტი) საქმიანობის მიზანია, ხელი შეუწყოს რეგიონში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების სტაბილურ ზრდას, მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, სურსათის უვნებლობისა და სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფას და სოფლად სიღარიბის დაძლევას. გარემოსათვის ატმოსფერული ჰაერის უსაფრთხო მდგომარეობის მიღწევას, შენარჩუნებას და გაუმჯობესებას; წყლის მავნე ზემოქმედების აცილებას, წყლის ობიექტების დაცვას და წყლის რესურსების რაციონალურ გამოყენებას დღევანდელი და მომავალი თაობების ინტერესებისა და მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით; თვითმყოფადი ბუნებრივი და კულტურული გარემოსა და მისი ცალკეული კომპონენტების, მათ შორის: მცენარეული საფარისა და ცხოველთა სამყაროს, ბიომრავალფეროვნების, ლანდშაფტის, ტყეში არსებულ მცენარეთა იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი სახეობების მომავალი თაობებისათვის შენარჩუნება და დაცვა, კომიტეტის საქმიანობის პრიორიტეტია.

კომიტეტის უფლება-მოვალეობები განსაზღვრულია უმაღლესი საბჭოს რეგლამენტითა და კომიტეტის დებულებით. კომიტეტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ეწევა კანონშემოქმედებით და საზედამხედველო საქმიანობას.

წინამდებარე დოკუმენტი აღწერს კომიტეტის სტრატეგიულ ამოცანებსა და სამოქმედო გეგმას 2024 წლისათვის. გასათვალისწინებელია, რომ მოცემული სამოქმედო გეგმა არ წარმოადგენს ფუნდამენტურ სახეცვლილებას მისი წინამორბედისა (ამოცანების დონეზე) და მისი შედგენისას გათვალისწინებული იქნა კომიტეტის მიერ 2024 წლამდე დაგეგმილი და განუხორციელებელი აქტივობები. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, კომიტეტის 2024 წლის სამოქმედო გეგმა თვისობრივად იდენტურია 2023 წლის სამოქმედო გეგმისა. ეყრდნობა შედეგებზე ორიენტირებული მართვისა და მტკიცებულებებზე დაფუძნების პრინციპებს და შესაბამისობაშია თანამედროვე საჯარო მმართველობის სტანდარტებთან. სამოქმედო გეგმის მოცემული ფორმატი კომიტეტს აძლევს შესაძლებლობას განახორციელოს საქმიანობის შედეგებზე ორიენტირებული მონიტორინგი და ანგარიშგება.

აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის სტრატეგიული ამოცანები

აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტი საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტისა და კომიტეტის დებულებით განსაზღვრულ უფლებამოვალეობათა ფარგლებში. კერძოდ, ახორციელებს საკანონმდებლო და საზედამხედველო საქმიანობას, უზრუნველყოფს საზოგადოებასთან კომუნიკაციას და სამოქალაქო ჩართულობას, შიდა ორგანიზაციული პროცესების მართვას.

კომიტეტის დებულების თანახმად, საქმიანობის ძირითად მიმართულებებს შორისაა:

. რეგიონის აგრარული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა;

. სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიების განხორციელებაზე ეფექტიანი ზედამხედველობა და კანონმდებლობის აღსრულების კონტროლი; სასურსათო უზრუნველყოფის, მიწის რესურსების, აგრარული განათლებისა და მეცნიერების, აგრომომსახურებების, ფერმერთა და გარემოს დაცვის საკითხების საქართველოს კანონმდებლობასთან მიახლოება/ჰარმონიზება.

. რეგიონში აგრარულ სექტორში რეფორმების, აგრარულ-სამრეწველო და სასურსათო კომპლექსის პოტენციალის სრულად გამოყენების, მისი დარგების აღორძინებისა და გარემოს დაცვითი ღონისძიებების გატარება და დინამიური განვითარების ხელშეწყობა.

კომიტეტის 2024 წლის სამოქმედო გეგმა მოიცავს 4 სტრატეგიულ ამოცანას (2023 წლის სამოქმედო გეგმის მსგავსად, იდენტური შინაარსით) და 37 აქტივობას, რომლებსაც საკუთარი ინდიკატორები აქვს მინიჭებული. გარდა ამისა, თითოეული ამოცანისა და აქტივობის შესრულება გაზომვადი და მტკიცებულებებზეა დამყარებული.

სტრატეგიული ამოცანა 1 - კომიტეტის საქმიანობათაგან უმნიშვნელოვანესი კანონშემოქმედებაა საკანონმდებლო პროცესის გაუმჯობესებისა და რეგიონში აგრარული და გარემოს დაცვით პოლიტიკის მიზნების სრულად განხორციელების მიზნით კომიტეტი გააქტიურებს საკუთარ საკანონმდებლო საქმიანობას. ახალი კანონმდებლობის მომზადებისა და დანერგვის პროცესში კომიტეტის მუშაობის მეტი ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად, კომიტეტს უმნიშვნელოვანესად მიაჩნია ნაყოფიერი, ეფექტური და მჭიდრო თანამშრომლობა საქართველოს პარლამენტის შესაბამის კომიტეტებთან, სახელმწიფო და ადგილობრივ სამთავრობო სტრუქტურებთან, სამეცნიერო წრეებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან. ასეთი თანამშრომლობა შესაძლებელს გახდის, შემუშავდეს უფრო ქმედითი და აღსრულებადი, რეალისტური და მეცნიერულად დასაბუთებული კანონმდებლობა. არანაკლებ მნიშვნელოვანი და აქტუალურია, განსაზღვრულ ვადებში კომიტეტის სტატუსით მომზადებული წამყვანი და სავალდებულო დასკვნების მაჩვენებელი კანონპროექტებთან დაკავშირებით; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის კანონპროექტის განსაზღვრულ ვადაში განხილვისა და მომზადებული დასკვნების მაჩვენებელი.

სტრატეგიული ამოცანა 2 - აგრარულ და გარემოს დაცვის სექტორის პოლიტიკის განხორციელებაზე ეფექტური ზედამხედველობის უზრუნველყოფა, კომიტეტის **2023 წლის** სამოქმედო გეგმიდან გადმოტანილი მეორე ამოცანაა, რომელიც განხორციელებული საზედამხედველო აქტივობების, გაცემული რეკომენდაციების რაოდენობის და მათ განხორციელებაზე ზედამხედველობის მაჩვენებლით იზომება.

სტრატეგიული ამოცანა 3 - კომიტეტის მიერ ეფექტური წარმომადგენლობითი საქმიანობის უზრუნველყოფა, რომელიც, თავის მხრივ, სამი ინდიკატორით იზომება, ესენია: კომიტეტის საქმიანობის სფეროს მიკუთვნებულ საკითხებზე დაინტერესებულ მხარეებთან გამართული შეხვედრების რაოდენობა; კომიტეტში შემოსულ წერილებზე განსაზღვრულ ვადაში სათანადო რეაგირების მაჩვენებელი; კომიტეტის საქმიანობის შესახებ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე ინფორმაციის დროულად განთავსების მაჩვენებელი.

სტრატეგიული ამოცანა 4 - კომიტეტის საქმიანობის ეფექტურობის გაუმჯობესება კომიტეტის მუშაობის ეფექტიანობის ასამაღლებლად, მნიშვნელოვანია კომიტეტის აპარატის თანამშრომლებს შორის ფუნქციების და ამოცანების ოპტიმალური გადანაწილება (მათ შორის, არსებული სამუშაო აღწერილობების განახლება).

კომიტეტის სამოქმედო გეგმის განხორციელებაში ჩართულია კომიტეტის აპარატის ყველა თანამშრომელი. კომიტეტის აპარატის უფროსი პასუხისმგებელია თანამშრომლების საქმიანობაზე, სხვადასხვა ორგანიზაციასთან კოორდინაციაზე და მათ ჩართულობაზე კომიტეტის საქმიანობაში.

მონიტორინგი და ანგარიშგება

2021-2023 წლების მსგავსად, კომიტეტი ამჯერადაც გეგმის დამტკიცებისთანავე დაიწყებს სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგს. გეგმაში წარმოდგენილ თითოეულ აქტივობას მიენიჭება სტატუსი, რომლის საფუძველზე გამოითვლება მისი განხორციელების დონის მაჩვენებელი. თითოეულ აქტივობას შესაძლოა მიენიჭოს შემდეგი სტატუსი:

- სრულად განხორციელდა - 100%
- მეტწილად განხორციელდა - 51-99%
- ნაწილობრივ განხორციელდა - 1-50%
- არ განხორციელდა - 0%

	მიზანი 1. კომიტეტის კანონშემოქმედებითი საქმიანობის გაუმჯობესება					
№	აქტივობა	პასუხისმგებელი კომიტეტის წევრი	პასუხისმგებელი პირი აპარატიდან	განხორციელების პერიოდი	ინდიკატორი	ვერიფიკაციის გზები
1.1	კომიტეტში შემოსული კანონპროექტების ანალიზი და განხილვა	ფ. ფუტკარაძე	ჯ. კურცხალიძე ნ. ჯინჭარაძე	რეგულარულად	შესაბამისი ანალიზი ჩატარებულია, დასკვნები შემუშავებულია, კომიტეტის სხდომები ჩატარებულია	ოქმი, კომიტეტის დასკვნა
1.2	საქართველოს პარლამენტიდან შემოსული კანონპროექტების განხილვა, საქართველოს კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის მიზნით საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება	ფ. ფუტკარაძე	ჯ. კურცხალიძე დ. წულუკიძე	რეგულარულად	კომიტეტის სხდომები ჩატარებულია, დასკვნები შემუშავებულია	ოქმი, კომიტეტის დასკვნა, ცნობად იქნა მიღებული
1.3	საკანონმდებლო საქმიანობის დაგეგმვის მიზნით საქართველოს დარგობრივ სამინისტროებთან და საქართველოს პარლამენტის შესაბამის კომიტეტებთან კოორდინაცია	ფ. ფუტკარაძე	ჯ. კურცხალიძე	რეგულარულად	შეხვედრები ჩატარებულია, წინადადებები შემუშავებულია	წინადადებები
1.4	აჭარის მთავრობის აღასრულებელ და თვითმმართველ ორგანოებთან სამუშაო შეხვედრის/შეხვედრების ჩატარება შესაძლო საკანონმდებლო ინიციატივებთან დაკავშირებით (ტყე, ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლი, აკვაკულტურა)	ფ. ფუტკარაძე	ჯ. კურცხალიძე ნ. ჯინჭარაძე	რეგულარულად	შეხვედრები ჩატარებულია, რეკომენდაციები შემუშავებულია	რეკომენდაცია, წინადადებები
1.5	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტების და პრიორიტეტების დოკუმენტის განხილვა	ფ. ფუტკარაძე	ჯ. კურცხალიძე ნ. ჯინჭარაძე	საშემოდგომო სესია	კომიტეტის სხდომა ჩატარებულია, დასკვნა შემუშავებულია	ოქმი, კომიტეტის დასკვნა
1.6	რეგიონის სოფლის მეურნეობის და გარემოს დაცვის სექტორის წარმომადგენლებთან რეკომენდაცია-კონსულტაცია საკანონმდებლო ბაზის მოწესრიგების თაობაზე	ფ. ფუტკარაძე	ჯ. კურცხალიძე ნ. ჯინჭარაძე	წლის განმავლობაში	შეხვედრები ჩატარებულია, რეკომენდაციები შემუშავებულია	რეკომენდაცია, წინადადებები

	მიზანი 2. კომიტეტის საზედამხედველო საქმიანობის გაძლიერება					
ამოცანა 2.1. ზედამხედველობის განხორციელება საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების საქმიანობაზე						
№	**აქტივობა**	**პასუხისმგებელი კომიტეტის წევრი**	**პასუხისმგებელი პირი აპარატიდან**	**განხორციელების პერიოდი**	**ინდიკატორი**	**ვერიფიკაციის გზები**
2.1	სოფლის მეურნეობის სამინისტროს ანგარიშის მოსმენა 2023 წელს გაწეული საქმიანობის და მიმდინარე პროექტების შესახებ	ფ. ფუტკარაძე	ჯ. კურცხალიძე ნ.ჯინჭარაძე	საგაზაფხულო სესია	კომიტეტის სხდომები ჩატარებულია, ანგარიში განხილულია	ოქმი, კომიტეტის დასკვნა, რეკომენდაცია
2.2	გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ანგარიშის მოსმენა 2023 წელს გაწეული საქმიანობის და მიმდინარე სამუშაოების შესახებ ინფორმაცია	ფ. ფუტკარაძე	ჯ. კურცხალიძე ნ. ჯინჭარაძე	საგაზაფხულო სესია	კომიტეტის სხდომები ჩატარებულია, ანგარიში განხილულია	ოქმი, კომიტეტის დასკვნა, რეკომენდაცია
2.3	სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის ინფორმაციის მოსმენა 2023 წელს გაწეული სამუშაოების და მიმდინარე საქმიანობის შესახებ	ფ. ფუტკარაძე	ჯ. კურცხალიძე ნ. ჯინჭარაძე	საგაზაფხულო სესია	კომიტეტის სხდომები ჩატარებულია, ანგარიში განხილულია	ოქმი, კომიტეტის დასკვნა, რეკომენდაცია
2.4	სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციის მოსმენა 2024 წელს საგაზაფხულო სამუშაოებისათვის მომზადებისა და მიმდინარეობის შესახებ	ფ. ფუტკარაძე	ჯ. კურცხალიძე ნ. ჯინჭარაძე	საგაზაფხულო სესია	კომიტეტის სხდომები ჩატარებულია, ინფორმაცია განხილულია	ოქმი, რეკომენდაცია
2.5	სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ „ლაბორატორიული კვლევითი ცენტრის“ 2023 წელს გაწეული სამუშაოების და მიმდინარე საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა	ფ. ფუტკარაძე	ჯ. კურცხალიძე ნ. ჯინჭარაძე	საგაზაფხულო სესია	კომიტეტის სხდომები ჩატარებულია	ოქმი, რეკომენდაცია
2.6	ატმოსფერული ჰაერის, ჩამდინარე და ზედაპირული წყლების ხარისხობრივი მაჩვენებლის მონიტორინგის ანგარიშის მოსმენა	ფ. ფუტკარაძე	ჯ. კურცხალიძე ნ. ჯინჭარაძე	რეგულარულად	საკითხი განხილულია	ოქმი,
2.7	აჭარის სანაპირო ზოლის ზღვის წყლის ხარისხობრივი მაჩვენებლების მონიტორინგის მიმდინარეობის შესახებ	ფ. ფუტკარაძე	ჯ. კურცხალიძე დ. წულუკიძე	რეგულარულად	საკითხი განხილულია	ოქმი
2.8	სატყეო სააგენტოს ინფორმაციის მოსმენა 2024 წლების გაწეული საქმიანობის შესახებ	ფ. ფუტკარაძე	ჯ. კურცხალიძე დ. წულუკიძე	საშემოდგომო სესია	კომიტეტის სხდომები ჩატარებულია	ოქმი, რეკომენდაცია
2.9	სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციის მოსმენა ციტრუსოვანთა	ფ. ფუტკარაძე	ჯ. კურცხალიძე ნ. ჯინჭარაძე	საშემოდგომო სესია	კომიტეტის სხდომები ჩატარებულია	ოქმი, რეკომენდაცია

	ნაყოფის დამზადებისა და რეალიზაციის ხელშემწყობ ღონისძიებათა შესახებ					
ამოცანა 2.2. ფინანსური (საბიუჯეტო) ზედამხედველობის ეფექტიანი განხორციელება						
2.2.1	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის განხილვა	ფ. ფუტკარაძე	ჯ. კურცხალიძე ა. დუმბაძე	საგაზაფხულო სესია	კომიტეტის სხდომა ჩატარებულია, დასკვნა შემუშავებულია	ოქმი, დასკვნა
2.2.2	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების 3 თვის ანგარიშის განხილვა	ფ. ფუტკარაძე	ჯ. კურცხალიძე ა. დუმბაძე	საგაზაფხულო სესია	კომიტეტის სხდომა ჩატარებულია, დასკვნა შემუშავებულია	ოქმი, დასკვნა
2.2.3	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების 6 თვის ანგარიშის განხილვა	ფ. ფუტკარაძე	ჯ. კურცხალიძე ა. დუმბაძე	საშემოდგომო სესია	კომიტეტის სხდომა ჩატარებულია, დასკვნა შემუშავებულია	ოქმი, დასკვნა
2.2.4	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის განხილვა	ფ. ფუტკარაძე	ჯ. კურცხალიძე ა. დუმბაძე	საშემოდგომო სესია	კომიტეტის სხდომა ჩატარებულია, დასკვნა შემუშავებულია	ოქმი, დასკვნა
2.2.5	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების 9 თვის ანგარიშის განხილვა	ფ. ფუტკარაძე	ჯ. კურცხალიძე ა. დუმბაძე	საშემოდგომო სესია	კომიტეტის სხდომა ჩატარებულია, დასკვნა შემუშავებულია	ოქმი, დასკვნა
	მიზანი 3. კომიტეტის საზოგადოებასთან ეფექტიანი ურთიერთობა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა					
№	**აქტივობა**	**პასუხისმგებელი კომიტეტის წევრი**	**პასუხისმგებელი პირი აპარატიდან**	**განხორციელების პერიოდი**	**ინდიკატორი**	**ვერიფიკაციის გზები**
3.1	კომიტეტის გასვლითი შეხვედრები თვითმმართველობის და საზოგადოების წარმომადგენლებთან სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით	ფ. ფუტკარაძე	ჯ. კურცხალიძე ნ. ჯინჭარაძე	რეგულარულად	შეხვედრები ჩატარებულია, რეკომენდაციები შემუშავებულია	რეკომენდაციები, წინადადებები, მედიაში გასული ინფორმაცია
3.2	სტუდენტებთან და აბიტურიენტებთან საინფორმაციო ღონისძიებების ჩატარება	ფ. ფუტკარაძე	ჯ. კურცხალიძე დ. წულუკიძე	პერიოდულად	შეხვედრები ჩატარებულია	შეხვედრების განრიგი

	სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის საკითხების პოპულარიზაციის მიზნით					მონაწილეთა სია
3.3	არასამთავრობო სექტორთან, დონორებთან და საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობა	ფ. ფუტკარაძე	ჯ. კურცხალიძე დ. წულუკიძე	რეგულარულად	კვარტალური შეხვედრები ჩატარებულია	რეკომენდაცია, წინადადებები, შეხვედრების დღის წესრიგი და მონაწილეთა სია
3.4	შემოსული კორესპონდენციის სტატისტიკა და ანალიზი	ფ. ფუტკარაძე	ჯ. კურცხალიძე დ. წულუკიძე	რეგულარულად	საინფორმაციო დოკუმენტი მომზადებულია	საინფორმაციო დოკუმენტი
3.5	მოქალაქეთა მიღება	ფ. ფუტკარაძე	ჯ. კურცხალიძე	რეგულარულად	შეხვედრები ჩატარებულია	რეკომენდაცია
3.6	მოქალაქეთა განცხადებების განხილვა და პასუხების მომზადება	ფ. ფუტკარაძე	ჯ. კურცხალიძე	რეგულარულად	წერილები მომზადებულია	მოქალაქეთა განცხადებების განხილვა და პასუხების მომზადება
3.7	ვებგვერდზე კომიტეტის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის დროულად ატვირთვა	ფ. ფუტკარაძე	ჯ.კურცხალიძე დ. წულუკიძე	პერიოდულად	შესაბამისი ინფორ-მაცია განთავსებულია	ვებგვერდი
3.8	კომიტეტის საქმიანობის შესახებ წლიური ანგარიშის წარდგენა დაინტერესებული პირებისა და მედიისთვის				შეხვედრა ჩატარებულია	მედიით გავრცელებული ინფორმაცია, მონაწილეთა სია, დღის წესრიგი
	მიზანი 4. კომიტეტის ორგანიზაციული საქმიანობა და შესაძლებლობების გაძლიერება					
№	**აქტივობა**	**პასუხისმგებელი კომიტეტის წევრი**	**პასუხისმგებელი პირი აპარატიდან**	**განხორციელების პერიოდი**	**ინდიკატორი**	**ვერიფიკაციის გზები**
4.1	კომიტეტის წევრებსა და აპარატის თანამშრომლებს შორის ფუნქციების გადანაწილება	კომიტეტის ყველა წევრი	ჯ. კურცხალიძე	პერიოდულად	შეხვედრები ჩატარებულია	ოქმი

4.2	კომიტეტის 2024 წლის სამოქმედო გეგმის განახლება დაინტერესებულ პირებთან კონსულტაციის შედეგად	ფ. ფუტკარაძე	ჯ. კურცხალიძე ნ. ჯინჭარაძე	საგაზაფხულო სესიის დაწყებისთანავე	გეგმა განახლებულია, დაინტერესებული პირების მონაწილეობა უზრუნველყოფილია	განახლებული გეგმა, შეხვედრის/ შეხვრედრების მონაწილეთა სია
4.3	კომიტეტის აპარატის დებულების და თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციების გადახედვა	ფ. ფუტკარაძე	ჯ. კურცხალიძე ნ. ჯინჭარაძე	წელიწადში ერთხელ	დოკუმენტი მომზადებულია	განახლებული დოკუმენტები
4.4	თანამშრომელთა შეფასების ჩატარება	ფ. ფუტკარაძე	ჯ. კურცხალიძე	წელიწადში ერთჯერ	შეფასება ჩატარებულია	შეფასების აქტი
4.6	შეფასების შედეგად თანამშრომელთა პროფესიული განვითარების გეგმის შემუშავებაში მონაწილეობა		ჯ. კურცხალიძე	წელიწადში ერთჯერ	გეგმა შემუშავებულია	გეგმა
4.7	კომიტეტის წევრთა და აპარატის თანამშრომელთა შესაძლებლობათა გაძლიერება (თემატური ტრენინგები)	ფ. ფუტკარაძე	ჯ. კურცხალიძე	რეგულარულად	შესაბამისი ტრენინგები ჩატარებულია	სერთიფიკატი
4.8	ხის დარგვის საერთაშორისო დღე	ფ. ფუტკარაძე	ჯ. კურცხალიძე ნ. ჯინჭარაძე	საშემოდგომო სესია (22 ოქტომბერი)		

აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა
კომიტეტის თავმჯდომარე
2024 წელი